ლელო ნომერში 8

თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — ი. გაგარინის III მემორიალი.

ს უ რ ა თ ზ ე: შეტევაზეა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები. მარცხნიდან — ა. ბელოვი, მ. ქორქია და ს. ბელოვი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



ერმოლაევა, გარკუშინა და მათი მეგობრები

ფშავში, არაგვის პირას...

ვორონინები მოგვეთხრობენ

გიორგი სააკაძის ძეგლი — უცნობი ჯარისკაცის საფლავი

100 მეტრი — 10 წამში!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 147 (4657)

1972 წ. 29 ივლისი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## მატჩი მსოფლიო პირველობაზე



ზუგდიდის რაიონში ფართოდ გაიშალა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ფიზკულტურულ კოლექტივებში, გუნდებში სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ფიზკულტურელები სარბიელზე გამოვიდნენ, რათა თავიანთი ასაკის შესაბამისი გამოცდები ჩააბარონ.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საქალაქო რობის ზუგდიდის განყოფილების ფეხბურთელები ხიდრძეზე ხტომაში აბარებენ ნორმატივებს. ხტება ა. დანელია.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

## სამი საპრიზო...

მინსკში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლე ავტომოდელისტთა IX საკავშირო ტურნირი.

რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 80 ავტომოდელისტი ერთმანეთს ეჯიბრებოდა „მცირე ტექნიკის" მიღწევების ჩვენებაში. მონაწილენი ძირითადად ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების აღსაზრდელები იყვნენ.

აქ წარმოდგენილი იყო ავტომანქანების ასლები 1,5 და 2,5 კბ სმ მოცულობის შიდაწვის ძრავებით, 5 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო, აგრეთვე, ელექტროძრავიანი და რადიოსამართავი მოდელები.

ყველაზე საინტერესო გამოდგა 1,5 კბ სმ კლასის სარბოლო მოდელების შეჯიბრება. ამ კლასში საკონტროლო მანძილი საათში 140 კმ სიჩქარით გაიარა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის ოთარ ბერიაშვილის მოდელმა და I ადგილიც დაისაკუთრა.

თბილისის 114-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნოდარ ერემაშვილმა 2,5 კბ სმ სარბოლო მოდელით, რომელმაც საათში 152,542 კმ განავითარა, II ადგილი დაიკავა. 2,5 კბ სმ ძრავიანი ავტომანქანის ასლის მოდელით II ადგილი ერგო აგრეთვე თბილისის მე-4 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ზურაბ ფოლადაშვილს.

საქართველოს მოსწავლე ავტომოდელისტთა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავა, საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: მოსკოვი, უკრაინა, ლიტვა.

გ. ქიქნაძე,
საქართველოს გუნდის ხელმძღვანელი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ო. ბერიაშვილი თვითნაკეთი მოდელით.

ავტორის ფოტო.



## ლიდერობენ საბჭოთა სტუდენტები

გრაცში გრძელდება მსოფლიოს სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა. 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: სსრ კავშირი — 14,5 ქულა (16-დან), გფრ — 10,5, ბულგარეთი — 10, რუმინეთი, აშშ — 9,5-9,5, უნგრეთი, ისრაელი — 9-9 (ყველას 19-19 შეხვედრიდან).

II ტურში საბჭოთა სტუდენტებმა ისრაელის გუნდს სძლიეს — 3,5:0,5. ვაგანიანმა მოუგო კოსკას, ტუკმაკოვმა — ფრიდმანს, ანიკაევმა — მალახის, ხოლო ბალაშოვი ბალშჩინს დაუზავდა.

III ტურში საბჭოთა გუნდმა უნგრელებთან ყაიმით დაამთავრა მატჩი — 2:2. ვაგანიანმა სძლია ფარაგოს, ტუკმაკოვი დამარცხდა საქსთან, კარპოვ — ადორიანისა და პოდგაეც — ტომპას პარტიები კი ყაიმით დასრულდა.

IV ტურში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა კუბის გუნდს აჯობეს — 3,5:0,5. კარპოვმა მოუგო ესტევესს, ვაგანიანმა — ბარერასოს, ანიკაევმა — გილელს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბალაშოვი — ხარნინდესი.

V ტურში სსრ კავშირ — დანიის მატჩში მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა, ტუკმაკოვმა მოუგო კრისტანსენს, ანიკაევმა — პოულსენს. ორი პარტია გადაიდო. ბალაშოვს ფედერთან მოსაგები პოზიცია აქვს, პოდგაეცს — ჰანსენთან პოზიციური უპირატესობა.

## მეშვიდე პარტია

26 ივლისს რეიკიავიკში მოეწყო დამთავრება მეშვიდე პარტიისა, რომელიც წინადღით გადაიდო ასეთ პოზიციაში:

ფიშერი



სპასკი

თამაშის განახლებისას სპასკი ეტლებით დაემუქრა ფიშერის მეფეს. როდესაც ამერიკელი მოჭადრაკის მეფე თავისი კოლეგისკენ გამოემართა, სპასკიმ მას შეუტია, მაგრამ ფიშერი მიეჭრა მსოფლიო ჩემპიონის მეფესა ან და მუდმივი ქიში გამოაცხადა.

41. h4 (ჩაწერილი სვლა) 41. ... f6 42. ეe6 ეc2+ 43. მფg1 მფf5 44. მg7+ მფ:f4 45. ეd4+ მფg3 46. მf5+ მფf3 47. ეee4 ეd+ 48. მფh2 ეc2+ 49. მფg1. ყაიმი.

## მერვე პარტია

ფიშერი — სპასკი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 c5 2. მc3 მc6 3. მf3 მf6 4. g3 g6 5. კg2 კg7 6. 0—0 0—0 7. d4 cd 8. მ:d4 მ:d4 9. ლ:d4 d6 10. კg5 კe6 11. ლf4 ლa5 12. ეac1 ეab8 13. b3 ეfc8 14. ლd2 a6 15. კe3 b5 16. კa7 bc 17. კ:b8 ე:b8 18. bc ე:c4 19. ეfd1 მd7 20. მd5 ლ:d2 21. მ:e7+ მფf8 22. ე:d2 მფ:e7 23. ე:c4 ე:b1+ 24. კf1 მc5 25. მფg2 a5 26. e4 კa1 27. f4 f6 28. ეe2 მფe6 29. ეec2 კb2 30. კe2 h5 31. ეd2 კa3 32. f5+ gf 33. ef+ მფe5 34. ეcd4 მფ:f5 35. ეd5+ მფe6 36. ე:d6+ მფe7 37. ეc6. შავები დანებდნენ.

• • •

ფიშერმა მერვე პარტიაც, ისევე როგორც მეექვსე, ლაზიერის ფრთის პაიკით დაიწყო. ამჯერად სპასკიმ ინგლისური დასაწყისი გაითამაშა. პარტია თეორიაში ცნობილი გზით წარიმართა, მაგრამ მეტოქენი თითოეულ სვლაზე დიდხანს ფიქრობდნენ.

მე-10 სვლაზე ფიშერმა სატურნირო პრაქტიკაში ნაკლებად შესწავლილი გაგრძელება აირჩია, შემდგომ კი ლაზიერით სრულიად ახალი სვლა გააკეთა. საჭირო იყო მომდევნო თამაშის გეგმის განჭვრეტა. ამიტომ სპასკიმ 53 წუთს იფიქრა მე-11 სვლაზე.

როდესაც მეტოქეებმა ფიგურების განვითარება დაამთავრეს, სპასკიმ ლაზიერის ფრთაზე პაიკებით გარღვევა განახორციელა. მან კუსა და პაიკში ეტლი შესწირა. თამაში ძალიან გართულდა. სპეციალისტების აზრით, სპასკის კომბინაცია უსწორო იყო. მართალია, მსოფლიო ჩემპიონს ორი კუ დარჩა, მაგრამ თეთრებს მტკიცე პოზიცია ჰქონდათ.

როცა საინტერესო ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, სპასკიმ სერიოზული შეცდომა (მე-19 სვლა) დაუშვა. იგი იძულებული გახდა ლაზიერები გაეცვალა და პაიკი დაებრუნებინა. ფიშერს ზედმეტი ხარისხი დარჩა.

მოგებულ პოზიციაში ამერიკელი მოჭადრაკე მოქნილად თამაშობდა და გაიმარჯვა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 5:3 ფიშერის სასარგებლოდ. მეცხრე პარტია კვირას გათამაშდება.

## რესპუბლიკის სკოლებში

◆ ზუგდიდი

კომკავშირისა და დოსაafის საქალაქო კომიტეტებმა მოაწყვეს ზუგდიდის საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 138 მოსწავლე. ჭაბუკებში გაიმარჯვა მე-4 საშუალო სკოლის ნაკრებმა, გოგონათა შორის გუნდური I ადგილი დაიკავა მე-5 საშუალო სკოლის კოლექტივმა. პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ჭაბუკებში — გ. გუნჩავამ (მე-6 სკოლა) — 40 ქულა, გოგონათა შორის — ლ. ჩოჩუამ (მე-5 სკოლა) — 39 ქულა.

გ. ალშიბაია.

## ციკლების შესანარჩუნებლად

მოსკოვი, 27 ივლისი. საბჭოთა ველოსიპედისტი ქალები, რომლებიც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ყველა უმაღლეს ჯილდოს ფლობენ, დღეს საფრანგეთში გაფრინდნენ წლევანდელ მსოფლიო პირველობაში სასპარეზოდ, რომელიც 29 ივლისს აიღებს სტარტს და 8 აგვისტომდე გასტანს.

მარხილის ტრეკზე სპრინტერულ რბოლებში გამოვლენ მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, მოსკოველი გ. ერმოლაევა, ტულელი თ. პილშჩიკოვა და ლვოველი ლ. ხარხაი, 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლებში — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ტულელი თ. გარკუშინა და ხარკოველი ლ. ზადოროჟნაია.

ქალაქ გაპის მახლობლად საგზატკეცილო რბოლის სტარტზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, ლენინგრადელ ა. კონკინასთან, გამოცდილ ოსტატებთან — რიგელ ზ. ცაუნესთან და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ნ. ტროფიმოვასთან ერთად ორი ახალგაზრდა დებიუტანტი — ირკუტსკელი ტ. ვორონოვა და სოჭელი ნ. იუდაკოვა გამოვლენ, რომლებმაც ქალთა საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში გამოირჩნენ თავი: იუდაკოვამ I ადგილი დაიკავა, ვორონოვამ კი რამდენიმე ეტაპი მოიგო.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებად მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ ლ. კოლუმბეტი (ტრეკი) და რიგელი ანს ბურონინი (გზატკეცილი) იქნებიან.

საკავშირო უნივერსიადა

# საქართველოს გუნდი II ადგილზე

მოსკოვის მახლობლად, მიტიშჩის „დინამოს“ სასროლეთზე დამთავრდა „ბურევესტნიკის“ საკავშირო შეჯიბრება ტყვიის სროლაში: პირველობისთვის იბრძოდნენ უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები იცავდა. მომავალ ინჟინერთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და 135 ქულით საერთო გუნდური II ადგილი დაიკავეს. I ადგილი ხვდა ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის კოლექტივს, III ადგილზეა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სპორტული კლუბი.

ჩვენს სტუდენტებს არც პირად პირველობაში შეურცხვენიათ თავი. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში სპორტის ოსტატმა მ. ჟამურაშვილმა 547 ქულით გაიმარჯვა, ხოლო 25 მეტრზე სწრაფსროლაში 558 ქულით III ადგილი დაიკავა. სპორტის ოსტატმა ვ. სკრინიკოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში შესანიშნავი შედეგი (595 ქულა) აჩვენა, მაგრამ II ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, ამავე იარაღით სტანდარტზე (3×20) სროლაში 563 ქულით მან ჩემპიონობა მოიპოვა. სკრინიკოვმა II ადგილი დაიკავა პნევმატური შაშხანით სროლაშიც — 369.

სპორტის ოსტატმა ლ. ცქიტაშვილმაც გაგვახარა: მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში სამი მდგომარეობის ჯამში III საპრიზო ადგილი დაიკავა — 545 ქულა.

**თ. ლეკიშვილი,**
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში

# ა. მამაევის უღირსი საქციელის გამო

წლეულს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტსა და ქალაქის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექციაში შემოვიდა სიგნალები მშვილდოსანთა მწვრთნელის ა. მამაევის უღირსი საქციელის შესახებ. სპორტსმენი ნ. დოიჯაშვილი იტყობინებოდა, რომ მან მამაევისგან 200 მანეთად იყიდა მშვილდი და ისრები, რომლებიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას ეკუთვნოდა.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ ა. მამაევმა მშვილდი № 718 და ისრები, რომლებიც თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას ეკუთვნოდა, მართლაც 200 მანეთად მიჰყიდა ნ. დოიჯაშვილს. გაგახსენებთ, რომ მამაევს, როგორც მწვრთნელს, სკოლაში მომეცადინე სპორტსმენებისთვის ყოველგვარი ინვენტარი უსასყიდლოდ ეძლეოდა.

გაირკვა ისიც, რომ, მწვრთნელისთვის ამ შეუფერებელი საქციელის გარდა, მამაევი თავის აღსაზრდელებს ინვენტარს სხვა დროსაც აძლევდა სპეკულანტურ ფასებში და ამტკიცებდა, ეს ინვენტარი მე თვითონ კერძო პირებისგან ძვირად მაქვს ნაყიდიო.

ვამოძალვის მოყვარული მამაევი ახალგაზრდა სპორტსმენებს ჰპირდებოდა, რომ მათგან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს მოამზადებდა. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა და სკოლის დირექციამ მწვრთნელი დოიჯაშვილის განცხადებამდე გააფრთხილეს იმის გამო, რომ სპორტსმენებთან უხეშობდა, უღირსად იქცეოდა, რაც საერთო აღშფოთებას იწვევდა. მაგრამ მამაევმა ეს მითითებანი ყურად არ იღო.

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა მამაევის საქციელი სამართლიანად მიიჩნია საბჭოთა მწვრთნელ-აღმზრდელისთვის შეუფერებელ, შემარცხვენელ მოქმედებად და დაადგინა, რომ ა. მამაევმა დოიჯაშვილს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს 200 მანეთი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს ეთხოვა ა. მამაევს მოუხსნას საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება. გადაწყდა ა. მამაევი განთავისუფლდეს „ლოკომოტივის“ მწვრთნელის მოვალეობიბაგან.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ, გაითვალისწინა რა საქართველოს მშვილდოსანთა მომზადებაში მამაევის დამსახურება და ისიც, რომ მან დანაშაული აღიარა, მწვრთნელი თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის კოლექტივის პასუხისმგებლობის ქვეშ დატოვა ამ სკოლაში სამუშაოდ. ანალოგიური ფაქტების გამეორების შემთხვევაში ა. მამაევი უფრო მკაცრად დაისჯება.

# მშდ-დან — დიდ ტანვარჯიშში

საუბარი მკითხველთან

... მიხეილ ვორონინს თავის ცოლთან ზინაიდასთან ერთად შეჯიბრების შემდეგ შინ მიეჩქარებოდა. ხელში ოქროს მედალი რომ დავუნახე, დავინტერესდი:

— მერამდენე ჯილდოა ეს თქვენი?

— უკვე აღარ მახსოვს. ჩვენს ოჯახში ბევრი ჯილდოა — მე მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, ზინა გუნდში ოლიმპიური ჩემპიონია... სამაგიეროდ, პირველი ჯილდო მახსოვს. ეს მშდ-ს ნიშანი იყო.

— როგორ მიიღეთ?

— მაშინ მოსკოვის 155-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. იგი ხორხ პიონერთა სტადიონის მახლობლად მდებარეობს. იქ ამხანაგებთან ერთად ფეხბურთისა და ჰოკეის სექციებში დავდიოდი. ურიგოდ არ ვთამაშობდი. მაგრამ იმისთვის, რომ თანრიგოსანი სპორტსმენი გავმხდარიყავი, საჭირო იყო მშდ-ს ნიშანი მქონოდა. მე კი არ მქონდა, ამიტომ საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფში დავიწყე სიარული. ვვარჯიშობდით და ნორმატივების უმეტესობას ვაბარებდით „დინამოს“ სტადიონზე. განსაკუთრებით სიმაღლეზე ხტომა მომეწონა და 165 სმ დავძლიე. ჩემი სიმაღლე მაშინ 160 სმ-ილე იყო. ტანვარჯიში კომპლექსის აუცილებელ ჩათვლაში შედიოდა. როცა ჯელა ვარჯიში წარმატებით ჩავაბარე, პირველად დამებადა აზრი, სერიოზულად მომეკიდა ხელი ტანვარჯიშისთვის.

ჩვენს საუბარს ზინაიდა ვორონინა შემოუერთდა.

— ჩემი თავგადასავალიც თითქმის ასეთივეა. ვცხოვრობდი იოშკარ-ოლაში. ერთხელ ფიზკულტურის მასწავლებელმა შემოგვთავაზა ვარჯიში მშდ-ს ნორმატივების ჩასაბარებლად. მე დავთანხმდი. ჩემთან ერთად ამხანაგებმა ირა სავინამ და ანია სმირნოვამაც ისურვეს ეს.

პირველ ხანებში შეუჩვევლობის გამო ფეხები და ხელები გვტკიოდა. ჩემთვის ეს ცოტა იოლი იყო, რადგან ვიცოდი და მიყვარდა კიდეც ცურვა, ხოლო ზაფხულში არდადეგების დროს ბევრს ვბანაობდი მდინარეში. ასე რომ, პატარა ფიზიკური წრთობა მიღებული მქონდა.

ყველა ნორმატივიდან, რაც კომპლექსში შედიოდა, ყველაზე მეტად სატანვარჯიშო ვარჯიშები მომეწონა. ხშირად გასახდელის სარკის წინ მონდომებით ვსწავლობდი მოძრაობებს, შემდეგ კი ჩემს ამხანაგებთან ერთად ვიმეორებდი. ჩვენი მონდომების ჯილდო იყო ვარჯიშების წარმატებით ჩაბარება.

— როგორ გადმოგცეს ნიშანი?

მიხეილი: მეტად საზეიმოდ, სკოლაში, დიდ სპორტულ საღამოზე. ჩვენმა ფიზკულტურის მასწავლებელმა კონსტანტინე სადიკოვმა გრძნობით წარმოთქვა სიტყვა. სათითაოდ ავდიოდით სცენაზე, იგი კი ყოველ ჩვენთაგანს პერანგზე ან კოსტიუმზე აბნევდა მშდ-ს ნიშანს, შემდეგ კი ხელს გვართმევდა, როგორც უფროსებს.

ზინაიდა: ჩვენთანაც ყველაფერმა საზეიმოდ ჩაიარა. ნიშნებს რომ გადმოგვცემდა, მასწავლებელმა მე და რამდენიმე ჩემი ამხანაგი დაგვასახელა მათს რიცხვში, ვინც კარგად შეასრულა ტანვარჯიშის კომპლექსი. ბევრს შემოგვთავაზეს სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციებში ჩაწერა — ვისაც რა მოგვწონდა.

მე ამხანაგებთან ერთად ტანვარჯიში ავირჩიე და ანტონინა ლევშევიჩთან დავიწყეთ ვარჯიში. და ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ზოგჯერ დიდი კოლოფიდან, სადაც ჩემს მედლებსა და ჟეტონებს ვინახავ, ამომაქვს ძველი, დროთა განმავლობაში ფერგადასული მშდ-ს პატარა სამკერდე ნიშანი. როცა ვუყურებ სპორტსმენის ფიგურას, მახსენდება ჩემი სკოლა, ჩემი კლასი და პირველი ნაბიჯები სპორტში.

მიხეილი: როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში შემიყვანეს და პირველად ვმონაწილეობდი საერთაშორისო შეჯიბრებებში, ასეთ დატვირთვას შეუჩვეველი ზოგიერთი ჩემი ამხანაგი ადვილად იღლებოდა. ჩვენ რამდენიმე საათს გვიხდებოდა ყოფნა ფიცარნაგზე გამოსვლის მოლოდინში. სწორედ მაშინ მადლიერების გრძნობით ვიხსენებდი კროსებს, ველოგადარბენებს, ცურვას.

ზინაიდა: სპორტის ოსტატები გახდნენ ჩემი ამხანაგებიც, ვისთან ერთადაც მოვკიდე ხელი ტანვარჯიშს. სავინა ამჟამად ქარხანაში მუშაობს ინჟინერ-კონსტრუქტორად. ინჟინერია სმირნოვაც. თუმცა მათ თავი მიანებეს დიდ სპორტს, მშდ-ს ნორმატივების ჩაბარებამ, ტანვარჯიშთან დაახლოებამ ენერგიის ისეთი მარაგი მისცა, რომ ახლა თავიანთი საწარმოების საუკეთესო მუშაკები არიან.

— რა შეგიძლიათ თქვათ ტანვარჯიშის ელემენტებზე, რაც მშდ-ს ახალი კომპლექსის ნორმატივებში შედის?

მიხეილი: ძალიან კარგია, რომ იქ ხუთი საფეხურია. ესე იგი, ფიზკულტურასა და სპორტს შეიძლება გაცილებით მეტმა კაცმა მოჰკიდოს ხელი. ტანვარჯიში ყოველი საფეხურის ნორმატივებში შედის. დარწმუნებული ვარ, რომ ნორმატივებს ყოველი ჯანმრთელი ადამიანი დაძლევს. მაგალითად, მეოთხე საფეხურში — „ფიზიკური სრულყოფა“ — ვერცხლის სამკერდე ნიშნის მისაღებად 19-28 წლის ჯაჭმა ცხრაჯერ უნდა შეასრულოს ღერძზე ნიზიდვა. ნაწრთობი ტანმოვარჯიშეები 40-50-ჯერ ასრულებენ ამ მოძრაობას. უნდა ითქვას, რომ ტანვარჯიში სპორტის ისეთ სახეობებთან ერთად, როგორიცაა ცურვა, რბენა და სათხილამურო სპორტი, ერთ-ერთ ყველაზე ქმედით გამაჯანსაღებელ საშუალებად ითვლება.

ზინაიდა: ახალ ნორმატივებში ის მომეწონა, რომ სპორტში შეიძლება ჩაება 10-13 წლის ბიჭები და გოგონები. ახალ კომპლექსში ტანვარჯიშის ვარჯიშები განსაკუთრებით გულდასმითაა შერჩეული. ისინი სწორედ კუნთების იმ ჯგუფს ავითარებენ, რაც შრომისთვისაა აუცილებელი.

ვფიქრობ, რომ იმათთვისაც, ვინც „დიდ სპორტს“ ჩამოსცილდა, სასარგებლო იქნება ახალი ნორმატივების ჩაბარება. მათ მხოლოდ თვითონ კი არ უნდა ჩააბარონ, არამედ ამ სასარგებლო საქმეში უნდა ჩააბან თავიანთი ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლებიც. ჩვენ, — ღიმება ზინაიდას, — უპირველეს ყოვლისა ვაპირებთ ნორმატივების ჩაბარებისთვის მოვამზადოთ ჩვენი ვაჟი დიმა. იგი მალე სამი წლის გახდება, ისე რომ, მომზადებისთვის დრო გვაქვს...

საუბარი ჩაიწერა
**ვ. ხაჩკოვანიანმა.**

# განთიადელთა სტარტები





თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის“ ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა თავიანთი III, ტრადიციული ტურისტული შეკრება ფშავში, მდინარე არაგვის პირას მოაწყვეს. ეს შეკრება იმითაც იყო საინტერესო, რომ ტურიზმი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივებში შედის.

სპორტული დღესასწაულის დაწყების ნიშანი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ დროშის აღმართვა იყო. ალამი აღმართეს მე-2 საამწყობო საამქროს მუშაკებმა, კომკავშირელმა სპორტსმენებმა, თანრიგოსნებმა ჯ. ჩხაიძემ და ა. შუმეკომ — კომბინატის II ტურისტულ შეკრებაში გამარჯვებულებმა.

შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორკობიანი და კომბინატის დირექტორი პ. დუნდუა.

შეჯიბრება ყველაზე მასობრივი სახეობით — მარშგარბენით დაიწყო. ვაჟთა დისტანცია 6 კმ იყო, ქალთა — 3. ტრასა სოფელ ჩარგლისკენ მიიმართებოდა. ვაჟთა შეჯიბრებაში საუკეთესო აღმოჩნდა თ. სეთურიძის შედეგი — 21.50. ქალებში ყველას აჯობა კომბინატის მუშამ, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მშვილდოსნობაში ნ. ლეკაშვილმა — 15.25.

საინტერესო იყო ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება 25-მეტრიან დისტანციაზე. აქ ყველას აჯობა ტ. გოგიაშვილმა — 50-დან 48 ქულა. ქალებში ისევ ნ. ლეკაშვილმა გაიმარჯვა — 41 ქულა.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ღერძზე აზიდვაში, ხელყუმბარის ტყორცნაში. მოეწყო კროსები ვაჟებისთვის 1000, ქალებისთვის კი 500 მეტრზე.

ტურისტთა შეჯიბრებას ახალი მიზანი მიეცა — დაიწყო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო გულმოდგინედ უნდა მოემზადოს შემდგომი შეჯიბრებისთვის. წინაა დიდი, მაგრამ საჭირო და სასარგებლო სამუშაო.

**ა. ტიმოფეევი,**
ფიზკულტურის ინსტრუქტორი-მეთოდისტი.

* * *

სურათებზე: შეჯიბრებათა მომენტები.
ბ. ცურინოვის ფოტოები.

# წარმატების ლოგიკა

ტალინი, 26 ივლისი. კუბის 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატში V ადგილი, ანკარის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში — II ადგილი, მსოფლიო უნივერსიადაში — I ადგილი — აი, კიეველი მოფარიკავე ს. პარამონოვის სპორტული ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. დღეს კი იგი „კალევის“ სპორტის სახლში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა: პირველად მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დაშნით ფარიკაობაში.

მძიმე ბრძოლები გადახდა პარამონოვს ნახევარფინალში. მისი ხუთივე მეტოქე ცაცია გახლდათ. პირველი დუელი საბჭოთა ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონთან, მსოფლიო პირველობის ოქროს პრიზიორთან, თანაქალაქელ გ. კრისთან ჰქონდა. პარამონოვმა მოიგო, როგორც თვად ამბობს, ეს მთავარი ბრძოლა. მერე დანარჩენებსაც სძლია და დაუმარცხებლად გავიდა ფინალში.

გამარჯვებულის მწვრთნელიც ახალგაზრდაა — ვ. ბიკოვი. იგი თავისი ტანადი მოწაფის (სიმაღლე 190 სმ-ზე მეტი) დიდ შრომისმოყვარეობაზე, გამარჯვებისკენ საოცარ ლტოლვაზე და კარგ რეაქციაზე ლაპარაკობს.

II ადგილი დაიკავა კრისმა. ბრინჯაოს მედალი მინსკელმა ი. სმოლიაკოვმა მოიგო.

# გადამწყვეტი შეხვედრის ანგარიშია 8:6

ტალინი, 27 ივლისი. დღეს აქ გამოვლინდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონი ქალთა შორის. ოქროს მედლები მოიხვეჭეს „დინამოს“ ნაკრების რაპირისტებმა ე. ბელოვამ, ტ. სამუსენკომ, გ. გოროხოვამ, ა. ზაბელინამ და ნ. ივანოვამ.

გადამწყვეტ მატჩში მათ ანგარიშით 8:6 სძლიეს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს (მინსკელი ლ. რუსაკი, ტალინელი ს. ჩირკოვა, მოსკოველები ტ. ლიუბეცკაია, ა. კოროლიოვა, რიგელი ზ. ფილატოვა).

ბრინჯაო ხვდათ სპარტაკელებს (ნოვოსიბირსკელი ო. კოსტიაკოვა, მოსკოველი ვ. ბუროჩკინა, მინსკელი ნ. კოზლენკო, ვორონეჟელი ლ. იშჩენკო, ფრუნზელი ნ. ალექსეევა).

*ი. გაგარინის III მემორიალი*

# სუსტადასუსტა პრობლემა, სუსტადასუსტა მიზანი

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე. 26 და 27 ივლისს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები: აშშ — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 79:69 (36:45), სსრ კავშირი (ოლიმპიური) — ფინეთი 85:70 (45:28), საქართველო — ჩეხოსლოვაკია 78:77 (40:36), სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — საქართველო 94:68 (47:27), სსრ კავშირი (ოლიმპიური) — ჩეხოსლოვაკია 76:56 (35:28), აშშ — ფინეთი 81:60 (37:52).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ (ოლიმპიური) | 3 | 3 | 0 | 270—191 | 3 |
| აშშ | 3 | 3 | 0 | 241—216 | 3 |
| სსრკ (ახალგაზრდული) | 3 | 1 | 2 | 228—256 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 217—219 | 1 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 213—252 | 1 |
| ფინეთი | 3 | 0 | 3 | 215—250 | 0 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, საპატიო პრიზის მიღების ყველაზე რეალური შანსი აქვთ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრებს და ამერიკელ სტუდენტებს, რომლებმაც უახლოესი მდევრები 2-2 ქულით ჩამოიტოვეს. საბჭოთა ოლიმპიელების უპირატესობა აშკარაა. რაც შეეხება ამერიკელებს, ისინი ყოველ ქულას მძიმე ბრძოლის შედეგად იღებენ.

გავიხსენოთ თუნდაც გუშინწინდელი მატჩი ფინელებთან. ამერიკელები პირველ ტაიმში მწარედ დამარცხდნენ — 37:52. ფინეთის გუნდს თითქოს უზრუნველყოფილი ჰქონდა ქულა, მაგრამ ისევე როგორც საქართველოს ნაკრებთან, ამერიკელმა კალათბურთელებმა მეორე ტაიმი ამჯერადაც პრესინგით დაიწყეს. შესაძლებელია მეტოქე მზად იყო ამ ტაქტიკური დარტყმისთვის, მაგრამ თამაშის პროცესში გარდაქმნა ვერ მოახერხა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამერიკელებს ხელთ ეგდოთ ინიციატივა: მეორე ტაიმის დასაწყისშივე 15-ქულიანი სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა... სანამ კალაპოტიდან ამოვარდნილი ფინელები გონს მოვიდოდნენ, ბრძოლამ მშვიდი, პოზიციური ხასიათი მიიღო, ოღონდ დაწინაურებულს უკვე აღარ ჰქონდა უპირატესობა.

ამერიკელ კალათბურთელებს ერთი კარგი თვისება აქვთ: ისინი ოსტატურად არეგულირებენ თამაშის რიტმს და საჭიროების შემთხვევაში წარმატებით იყენებენ პრესინგს, როგორც მთავარ ტექნიკურ დარტყმას. ამერიკელებს უკვე აქვთ 3 ქულა, იმდენი, რამდენის დაგროვებაც მდევრებს შეუძლიათ. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საპატიო ჯილდოს ერთ-ერთ პრეტენდენტს ორი მეტად ძნელი გამოცდა ელის — მატჩები სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან და ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი მთავარი ფავორიტია. მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობა მთლიანად დამშვიდებული მაინც არ არის. ჯილდო ჯილდოა, მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მემორიალის მთავარ პრიზზე მეტად დღეს მწვრთნელებს ნაკრების საბოლოო ვარიანტის დადგენა აინტერესებთ. საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში რამდენიმე თეთრი ლაქაა, რამდენიმე გადასაწყვეტი პრობლემა. ჯერ ერთი, ყურადღების ცენტრში დგას ანდრეევის ჯანმრთელობა. იგი დაშავებულია და თბილისში ვერ ჩამოვიდა. არადა, ნაკრებს ანდრეევის ტიპის ცენტრალური თავდამსხმელი უსათუოდ სჭირდება. კიეველი სუშაკი, რა თქმა უნდა, არც ანდრეევია და არც გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. უფრო მეტიც, სუშაკი ნაკრებში ყველაზე სუსტი ჩანს და ძნელი დასაჯერებელია, რომ მიუნჰენს გაემგზავროს. გაურკვეველია კრიკუნის საკითხიც — მოხვდება თუ არა იგი 12 კალათბურთელის სიაში. პოლივოდა ჯერჯერობით ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს, მაგრამ ადვილი დასაშვებია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოლიმპიურ გუნდში გადაბარგდეს. ახალგაზრდულ გუნდშია არზამასკოვიც, რომელსაც შესაძლოა ერთ-ერთი გამთამაშებლის ადგილი დაუთმოს ოლიმპიურმა ნაკრებმა.

ერთი სიტყვით, პრობლემა ოლიმპიურ გუნდს ბევრი აქვს, მაგრამ ძირითადად მისი სახე გამოკვეთილია. ნაკრების უეჭველი კანდიდატები ამ ტურნირშიც ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებენ.

საქართველოს კალათბურთელებმა განვლილ ორ ტურში ქულა აიღეს. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებთან კარგი და შინაარსიანი თამაშის შემდეგ ისინი მეტად უფერულად გამოიყურებოდნენ სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან ორთაბრძოლაში. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გაგარინის მემორიალი საქართველოს ახალგაზრდა კალათბურთელებს (მათ კი მწვრთნელი სულ უფრო ხშირად და თამამად რთავს თამაშში) დიდ სამსახურს გაუწევს — უკეთეს სკოლას ისინი ვერც ინატრებენ.

ნ. გუგუშვილი.

* * *



სურათზე: სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური გუნდების შეხვედრის მომენტი. ბრძოლა ფარქვეშ: ზ. კოსი (მარცხნივ) და ა. ჟარმუხამედოვი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### სსრ კავშირის თასზე

## დარჩა ოთხი გუნდი

გამოვლინდნენ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო თასის ნახევარფინალისტთა წყვილები. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას განაგრძობენ: ერთის მხრივ — ცსკა და „კალევი“ (ტარტუ), მეორეს მხრივ — „სტროიტელი“ (კიევი) და „ჟალგირისი“ (კაუნასი).

29 ივლისს მოსკოვსა და კიევში გაიმართება პირველი ნახევარფინალური მატჩები, 5 აგვისტოს კი საპასუხო შეხვედრები. დამტკიცდა ფინალური ორთაბრძოლების თარიღებიც: 9 და 12 აგვისტო.

# 17 ათასი კილომეტრი ველოსიპედით

ნელს დეკემბერში გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ამ დიდ თარიღს ღირსეულად ხვდებიან ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდები, სტუდენტები. განსაკუთრებული ენთუზიაზმით არიან გამსჭვალული სპორტსმენები, რომლებიც ყოველ წარმატებას ამ იუბილეს სახელს არქმევენ.

ქვემოგომელი ველოსიპედისტი ავთანდილ ხითარიძე იმ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ყოველ მნიშვნელოვან თარიღს რაღაც თავისებურ საჩუქარს უძღვნიან. ამ დაუღალავმა ახალგაზრდამ და სპორტის დიდმა ენთუზიასტმა სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს მოთხილამურეთა ერთ-ერთ ასპარეზობაში ფეხი მოიტეხა. რამდენიმე ოპერაციამ უნაყოფოდ ჩაიარა. ბოლოს მას მკურნალობდა მოსკოველი პროფესორი წარსულში სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მოციგურავე ზოია მირონოვა. ქირურგის გამოცდილმა ხელმა სასწაული მოახდინა და ა. ხითარიძე თავის საყვარელ ველოსპორტს დაუბრუნდა.

მადლობის ნიშნად გამოჯანსაღებულმა სპორტსმენმა გადაწყვიტა თავის მხსნელს ველოსიპედით სწვეოდა მოსკოვში და აისრულა კიდეც სწადელი. 1962 წელს იგი კასპიდან მარტოდმარტო მოსკოვს ჩავიდა, ინახულა ზოია მირონოვა და გულთბილი მადლობა გადაუხადა.

მას შემდეგ ველოგადარბენა ზეგრძელ დისტანციებზე ავთანდილ ხითარიძის „ჰობად“ იქცა. დაუზარელმა სპორტსმენმა რამდენიმე მარათონული რბოლა მოაწყო, რომლებიც მიუძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, და ბოლოს, სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ბოლო ველოგადარბენის სტარტი ა. ხითარიძემ 12 ივნისს აიღო კასპში გ. სააკაძის ძეგლთან. მან გაიარა შავი ზღვის სანაპირო ქალაქები, კრასნოდარი, დონის როსტოვი, ნოვოჩერკასკი, პავლოვსკი, ვორონეჟი და 24 ივნისს ფინიში ჰქონდა მოსკოვში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. 12 დღის მანძილზე 2500 კილომეტრი—ასეთია ა. ხითარიძის ბოლო ველომოგზაურობის არითმეტიკული ფორმულა.

ავთანდილ ხითარიძე 34 წლისაა. ჰყავს სამი ქალიშვილი. ერთი წლისაც არ იყო, მამამისი წითელ არმიაში რომ გაიწვიეს. გაიწვიეს და აღარ დაბრუნებულა — სტალინგრადის დაცვისთვის ბრძოლაში გმირულად დაეცა. სწორედ ამიტომ მიუძღვნა ხითარიძემ თავისი ბოლო გადარბენა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს და უცნობი ჯარისკაცის საფლავთან დაამთავრა იგი.

ა. ხითარიძემ 17 ათასი კილომეტრი გაიარა საბჭოთა ქვეყნის გზებზე. იგი კვლავ ჯანლონით სავსეა და გულმოდგინედ ემზადება ახალი მარშრუტების დასალაშქრავად.

ნ. ახვლედიანი.

* * *



სურათზე: ა. ხითარიძე თავისი ერთგული ველოსიპედით.

# მცხეთელ ჭაბუკთა ათი გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთში გაიმართა საქართველოს მოზარდთა პირველობა ბაიდარკებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. ისე როგორც მოსწავლეთა სპარტაკიადაში, გუნდური პირველობისთვის დაძაბული ბრძოლა. ახლაც მცხეთისა და აჭარის კოლექტივებმა გაიჩაღეს. მცხეთის კოლექტივმა ამჯერად 235 ქულით I ადგილი დაისაკუთრა. აჭარის ნიჩბოსნებმა 165 ქულა მოაგროვეს. მესამე პრიზიორი გახდა მასპინძელთა ნაკრები — 104 ქულა.

კვლავ დაბალი შედეგები ჰქონდათ ქუთაისის, აფხაზეთისა და თბილისის გუნდებს, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ერთ დროს ამ მოწინავე კოლექტივებში ყველაფერი წესრიგად როდია.

პირად ტურნირში საპრიზო ადგილების უმეტესობას აჭარის, მცხეთისა და ფოთის წარმომადგენლები დაეპატრონენ. გოგონათა შორის ოთხივე დისტანციაზე აჭარის ნიჩბოსნებმა გაიმარჯვეს. სამაგიეროდ, ჭაბუკებში აჭარას მხოლოდ ერთი ჩემპიონი ჰყავს. აქ მცხეთელმა ჭაბუკებმა 10 დისტანცია მოიგეს.

გოგონებში ყველაზე მეტ წარმატებას ბათუმელმა ნ. ვალეშნაიამ მიაღწია — ოთხი I ადგილი მოიპოვა. ჭაბუკთა შორის აღსანიშნავია ვ. გაგოშვილი (მცხეთა), რომელიც სამ დისტანციაზე პირველობდა.

გთავაზობთ გამარჯვებულთა ტექნიკურ შედეგებს:

**გოგონები.** ბაიდარა. ერთადგილიანი. ნ. ვალეშნაია (აჭარა) — 2.40,0, **ორადგილიანი.** ვალეშნაია — ე. მორჩილაძე — 2.23,9, **ოთხადგილიანი.** აჭარა (მენიჩბე ვალეშნაია) — 2.09,0. **4×500 მეტრზე** ესტაფეტა. აჭარა — 10.38,2.

**ჭაბუკები.** ბაიდარა. **500 მ.** ერთადგილიანი. ვ. ტაშკინოვი (აჭარა) — 2.18,3, **ორადგილიანი.** გ. ხამხაძე — ვ. ხუბერიაშვილი (მცხეთა) — 2.06,7, **ოთხადგილიანი.** მცხეთა (მენიჩბე ვ. სოსელია) — 1.52,2. **4×500 მეტრზე** ესტაფეტა. მცხეთა — 8.49,8. **1000 მ.** ერთადგილიანი. ვ. გაგოშვილი (მცხეთა) — 4.24,4, **ორადგილიანი.** გაგოშვილი — ვ. გიუტაშვილი — 4.03,0. **5000 მ.** ერთადგილიანი. გაგოშვილი — 26.26,0. კანოე. **500 მ.** ერთადგილიანი. ნ. ნიკოლაევი (რუსთავი) — 2.33,3, **ორადგილიანი.** ს. როსტიაშვილი — ს. გიგაური (მცხეთა) — 2.11,3, **1000 მ.** ერთადგილიანი. ე. ოსეფაშვილი (მცხეთა) — 4.50,2, **ორადგილიანი.** ოსეფაშვილი — მ. ხუცურაული — 4.28,6. **5000 მ.** ერთადგილიანი. მ. გიგაური (მცხეთა) — 29.34,2.

ლ. ხეცურიანი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

# კომუნიზმის პიკის იერიში დაიწყო

15 მოკავშირე რესპუბლიკისა და 8 სოციალისტური ქვეყნის მთამსვლელთა ორი რაზმი პამირის მთების უმაღლესი მწვერვალისკენ (7495 მ) მიიწევს. რაზმები დღეში სამჯერ გადმოსცემენ რაციით ალპინიადის შტაბს ინფორმაციებს ასვლის მიმდინარეობის შესახებ.

რაზმი ვ. შატაევის ხელმძღვანელობით გავიდა დიდ ფირნის პლატოზე, დაახლოებით 6000 მეტრ სიმაღლეზე. ამინდი ცუდია: ნისლი, თოვლი და ქარი მოძრაობას აძნელებს. მიუხედავად ამისა, ორმოცდაჩვიდმეტივე მთამსვლელი თავს კარგად გრძნობს.

დ. მაკაუსკასისა და გ. შალაევის ჯგუფების კვალდაკვალ მწვერვალისკენ მიიწევს მეორე რაზმიც ა. ოვჩინიკოვის მეთაურობით.

ბანაკიდან გასვლის წინადღეს მთამსვლელებმა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო მოაწყვეს. მაღალ მთებში მოქცეული პატარა მდელო მაყურებელთა დარბაზად იქცა, ცენტრში გამოკვეთილი კლდის მოედანი — სცენად. ამ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უკრაინისა და ბულგარეთის, უზბეკეთისა და გდრ-ის, ბელორუსიისა და მონღოლეთის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მთამსვლელები — თვითმოქმედების კონცერტის მონაწილენი.

იმავე დღეებში საბჭოთა მთამსვლელ ქალთა გუნდი ავიდა პამირის კიდევ ერთ შვიდათასიანზე — ე. კორჟენევსკაიას პიკზე (7105 მ). გუნდში შედიოდნენ: გ. როჟალსკაია — ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის დისპეტჩერი, ე. შატაევა — მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების კიევის რაიონული საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი, ა. ხონი — ალმა-ათის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის მასწავლებელი, ი. მუჰამედოვა — დუშანბეს სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტი. მთამსვლელმა ქალებმა ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

ფორტამბეკის ყინვარი.

საქინფორმი

# სალონ-დე-პროვანსის ცაში

**სალონ-დე-პროვანსი, 28 ივლისი.** სამხრეთ საფრანგეთში მდებარე ამ ქალაქში საინტერესოდ მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში.

ასპარეზობის პირველი ნახევრის შემდეგ საბჭოთა მფრინავი ა. პიმენოვი საერთო III ადგილზეა. მან დიდებულად „მოხაზა" უცნობი კომპლექსის ფიგურები და ამ სახეობაში დაკავებული II ადგილის წყალობით თვალსაჩინოდ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ახლა პიმენოვი (7803 ქულა) მხოლოდ ორ ამერიკელთან აგებს: სუსის 7960 ქულა აქვს, ხოლო თომასს — 7818.

ქალთა შორისაც ამერიკელი დაწინაურდა, ეს გახლავთ გაფნი. მას ოდნავ ჩამორჩებიან საბჭოთა მფრინავები ლ. მოროხოვა და ს. სავიცკაია.

## მიუნხენი-72

● **ლვოვი, 27 ივლისი.** ადგილობრივ ცირკის სარბიელზე გუშინ დაიწყო რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის IV ჩემპიონატი კრივში. ასეთი შეჯიბრებები 1958 წლიდან ტარდება. წლევანდელ ტურნირში მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომელთა შემადგენლობაში არიან ქვეყნის ჩემპიონები, საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორები. საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ო. გუროვი (ალმა-ათა), ევროპის 1970 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის ოქროს ლაურეატი ა. ანდრიანოვი (ყაზანი) და სხვ. ტურნირი 30 ივლისს დამთავრდება.

● **მინსკი, 27 ივლისი.** თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა დღეს აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ბ. ონიშჩენკომ (კიევი), რომელმაც ქულათა შესანიშნავი ჯამი დააგროვა — 5391. საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაშიც აჯობეს ყველას — 15880 ქულა. II ადგილზე გასული ფინელები გამარჯვებულ კოლექტივს ბევრად ჩამორჩნენ — 15002 ქულა დააგროვეს. ზემოდასახელებულთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთისა და შვეციის წარმომადგენლებიც.

● **ლენინგრადი, 27 ივლისი.** ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის დასკვნით მატჩში სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ფინელებს სძლია (3:0 — 15:7, 15:1, 15:8) და I ადგილი დაიკავა. ბოლოსწინა ტურში უნგრეთის ნაკრებმა აქტივში მეორე გამარჯვება ჩაიწერა — ანგარიშით 3:0 (15:10, 18:16, 15:11) დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი, ხოლო საბჭოთა ქვეყნის მეორე ნაკრებმა ფინელებს აჯობა — 3:0 (15:10, 15:11, 15:9). სტუმართა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია უნგრეთის გუნდმა, რომელმაც III ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ი. კლენოკოვმა განაცხადა, რომ ახლა უკვე შეიძლება საბჭოთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობის დასახელება: ე. ჩულაკი, ლ. ზაიკო, ვ. პატკინი, ი. სტარუნსკი, ვ. დომანი, ვ. პუტიატოვი ვ. ბორშჩი (ყველა — ცსკა), ი. პოიარკოვი („ბურევესტნიკი", ხარკოვი), ვ. კრავჩენკო („ბურევესტნიკი", ალმა-ათა), ე. ლაპინსკი („ბურევესტნიკი", ოდესა), ვ. კონდრა (ასკ, დონის როსტოვი), ა. საპრიკინი („ავტომობილისტი", ლენინგრადი).

● **ლიეპაია, 27 ივლისი.** სატრეკო ველოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატი ვადამდე დამთავრდა წვიმის გამო, რომელმაც ორ დღეში გვარიანად დაასველა ადგილობრივი სარბიელის ხის საფარი. 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში ტურნირის გარდა (აქ, როგორც ცნობილია, ომსკელმა ე. რაპმა ზედიზედ მეორე წელია გაიმარჯვა), ურთიერთობა მხოლოდ გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის მონაწილეებმა გაარკვიეს. სსრ კავშირის ჩემპიონი პირველად გახდა ლენინგრადელი მოსწავლე, 18 წლის ვ. ოსოკინი — 4.58,57. ფინალურ სერიაში მან 0,26 წამით აჯობა გამოცდილ ვ. კოკშაროვს (ალმა-ათა). ბრინჯაო რიგის არმიელ დ. ბრუვერისს ხვდა. გუნდურ რბოლაში მედლები მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მეოთხედფინალური სერიების შედეგების მიხედვით განაწილდა. ჩემპიონთა წოდება მიენიჭათ ტაშკენტელ ა. იუდინს, ალმაათელ ვ. შტიხლინს, ხარკოველ ი. კუჩერიავის და რაპს (სსრ კავშირის მეორე ნაკრები) — 4.27,83. II ადგილზეა ქვეყნის პირველი ნაკრები, ხოლო ბრინჯაოს მედლები დინამოელებს გადაეცათ. ავდრის მიზეზით შეწყვეტილი ჩემპიონატი 5 აგვისტოს გაგრძელდება ტალინში, სადაც შედლებს სპრინტერები და ტანდემებით მოასპარეზენი გაითამაშებენ. ახ წრეზე ჯგუფური რბოლის ჩატარება თბილისშია განზრახული სსრ კავშირის თასის გათამაშების დროს (ოქტომბერი).

მიუნხენი-72




# ფული რუდოლფ მანგისთვის

როგორც ცნობილია, იანვრის დამდეგს ნიჭიერმა ბავარიელმა ძალოსანმა რუდოლფ მანგმა სამჭიდის ჯამში მაღალ შედეგს მიაღწია — 610 კგ. სულ მალე სპორტულმა კლუბმა „ოლიმპია 2000 პოიტენ-კაუზენმა", რომლის წევრადაც მანგი ითვლება, სასამართლო საქმე აღძრა ამ შეჯიბრების ორგანიზატორის ო. ფასერის წინააღმდეგ. მას ბრალად დასდეს შემოსავლის (6900 მარკა) მითვისება.

ფასერმა განაცხადა, რომ არავისთვის არ მიუცია ამ თანხის გაყოფის პირობა. კლუბი კი თავისას იმეორებდა: „ჩვენ სახსრები გვჭირდება მანგის მოსამზადებლად და ფასერს მოგების ნაწილი უნდა ჩამოერთვას".

დასავლეთ გერმანიის წამყვანი სპორტსმენები „გერმანული სპორტის დახმარების" ფონდიდან ყოველთვიურად 200-200 მარკას იღებენ კვებისთვის და სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად. მაგრამ მანგს სხვა მოთხოვნები აქვს და ამიტომაც მას მაქსიმალური სუბსიდია გამოუყვეს — 650 მარკა.

როცა მანგმა გფრ-ის მორიგი რეკორდი დაამყარა სამჭიდში (625 კგ) და მსოფლიო რეკორდი აჯიმვაში (235), მისმა მწვრთნელმა შნელმა კატეგორიული მოთხოვნა წამოაყენა — სპორტსმენისთვის სუბსიდია 2000 მარკამდე გაეზარდათ. მწვრთნელი თავის მოთხოვნას ასე ასაბუთებს: „მხოლოდ ასეთმა თანხამ უნდა უზრუნველყოს მანგის გამარჯვება ალექსეევთან".

„გერმანული სპორტის დახმარების" ფონდის პასუხისმგებელმა მუშაკმა მწვრთნელს განუცხადა, რომ 650 მარკა ფონდის შესაძლებლობათა ზღვარია. ამას გარდა, შნელს გაახსენეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრინციპული პოზიცია ავსტრიელი სამთო-მოთხილამურე კ. შრანცის მიმართ, მაგრამ მას არაფრის გაგება არ სურს და უმთავრესად პატრიოტულ მოტივებს აყენებს.

მანგის საკითხი გფრ-ის ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად გადაიქცა. მაგრამ, როგორც დასავლეთგერმანული გაზეთები იუწყებიან, „მანგზე მეტად ფინანსური პრობლემებით დაინტერესებას მიტმასნილი ადამიანები იჩენენ. ამან კი ახალი სკანდალი შეიძლება გამოიწვიოს".

„ლელოს" მიმომხილველი.

# რუმინელთა ოლიმპიური იმედი

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში რუმინეთი მოკრივეებს ყველა წონაში გამოიყვანს — ასეთია ამ რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც ამას წინათ 23 აგვისტოს სახელობის ღია სარბიელზე გამართული ქვეყნის ოთხდღიანი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიიღეს.

ასპარეზობამ, რომელსაც 35000 მაყურებელი დაესწრო, ოთხი ახალი ჩემპიონი დაასახელა. ტურნირმა ორგანიზატორები დაარწმუნა, რომ რუმინეთის სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიური საგზურებისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ, კარგ სპორტულ ფორმაში არიან.

რუმინეთის ჩემპიონები გახდნენ (წონების მიხედვით): შ. ბეიატუ („სტიაუა"), ტ. ჩერკია („პორტი"), მ. ტონი („კონსტრუქტორი"), გ. პომეტკუ („რაპიდი"), ა. ვასილე, კ. კუცოვი (ორივე — „დინამო"), ვ. ზილბერმანი („სტიაუა"), ი. დიორფი („დინამო"), ა. ნესტაკი („სტიაუა"), პ. კიმპიანუ („მეტალული") და ი. ანგელი („მუსჩელი").

ტურნირის ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო უმჩატესი წონის მოკრივე ჩერკიას მიერ ქვეყნის ნაკრების წევრის ქ. გრუესკუს ქულებით დამარცხება.

კრივის ფედერაციამ ჯერჯერობით ოლიმპიური გუნდის 8 წევრი დაასახელა. ესენი არიან ა. ტურეი (პირველი უმჩატესი), კ. გრუესკუ (უმჩატესი), ვ. ანტონიუ (მსუბუქი), კ. კუცოვი (პირველი ქვესაშუალო), გ. პომეტკუ (ქვესაშუალო), ვ. ზილბერმანი (მეორე ქვესაშუალო), ი. დიორფი (პირველი საშუალო) და ა. ნესტაკი (მეორე საშუალო წონა).

მჩატე, ქვემძიმე და მძიმე წონებში გუნდის წევრებს შეარჩევენ იმ სამი ტურნირის შედეგებით, რომლებიც 8 აგვისტომდე უნდა ჩატარდეს. მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდებიან ტ. ჩერჩა — ნ. ლაზერი, ქვემძიმეში — მ. კულიანიაკი — ი. სილიმტე, მძიმე წონაში — ნ. ალეკსე — ა. იანკუ.

რუმინელები მიუნხენში განსაკუთრებულ იმედს კ. კუცოვზე ამყარებენ. იგი საერთაშორისო ტურნირებში უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მოკრივეა. პროფესიით ელექტრიკოს კუცოვს 10 ოქტომბერს 24 წელი შეუსრულდება. კრივში 9 წელია ვარჯიშობს. რესპუბლიკის ჩემპიონობა კი პირველად 1965 წელს მოიპოვა. კუცოვმა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდა.

ევროპის მორიგ ჩემპიონატში (მადრიდი) კუცოვი პირველ საშუალო წონაში გამოდიოდა და ფინალში საეჭვოდ წააგო ე. ბაიერთან (გდრ). წლეულს კუცოვი ბალკანიადის ჩემპიონი გახდა. აქ ფინალში მან ცნობილი იუგოსლაველი მოკრივე ზ. ვუჟინა დაამარცხა.




◆ **ჰელსინკი, 28 ივლისი.** ფინელმა სპრინტერმა ლასე ვირენმა ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე 100 მ 10 წამში დაფარა. იგი 1960 წელს ა. ჰარის (გფრ) მიერ დამყარებული ევროპული რეკორდის მერვე „თანაავტორი" გახდა.

◆ **სტოკჰოლმი, 28 ივლისი.** 5000 მეტრზე რბენაში შვედმა ა. გერდერუდმა, რომელმაც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ამას წინათ წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია, ევროპული რეკორდი დაამყარა — 13.35,8. მან ჩამოიტოვა ამ მანძილზე ოლიმპიური ჩემპიონი, ტუნისელი მ. გამუდი (13.37,6). 100 მეტრზე რბენაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა მადაგასკარელი ჟ.-ლ. რაველომანანტსოა — 10,2. 800 მეტრზე რბენა მოიგო ი. პლახიმ (ჩეხოსლოვაკია) — 1.46,3. საინტერესო იყო ლ. დანეკის (ჩეხოსლოვაკია) ბრძოლა ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდის „თანაავტორთან", შვედ რ. ბრუხთან. გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა — 63,44 მ. ბრუხის შედეგია 61,46. მწვავე ბრძოლა გაჩაღდა 100 მეტრზე თარჯრბენში. ფინიშთან პირველი იყო ავსტრალიელი პ. რაიან-კილბორნი (13,1), ხოლო მეორე — ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი კ. ბალცერი (გდრ) — 13,3.




## ფეხბურთი

# საქართველოს თასზე

დაიწყო საქართველოს თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩები. გუშინწინ თბილისის „ისანმა" თავის მინდორზე მიიღო ცხაკაიას „ეგრისი". დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ცხაკაიელებმა — 3:2.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს მასწავლებლების ვაკანტურ ადგილებზე შემდეგი კათედრების მიხედვით:**

1. ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის მასწავლებლის ერთ ადგილზე სამბო-ძიუდოს სპეციალობით.
2. მთამსვლელობის, ტურიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის მასწავლებლის ერთ ადგილზე სამთოსათხილამურო სპორტის სპეციალობით.
3. ენების კათედრის მასწავლებლის ერთ ადგილზე რუსული ენის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, ყოველდღე 9-დან 18 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.

# ბესტმა ყველას დაასწრო

რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის" საწვრთნელ მინდორზე, სადაც ამ გუნდის იუნიორები და ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — მეკარე ა. სტეპნი ვარჯიშობდნენ, ყველა დამსწრემ პირი დააღო: მინდორზე სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი ბრიტანელი გულშემატკივრების კერპი ჯორჯ ბესტი გამოჩნდა და გამოსვლისთანავე „მანჩესტერ იუნაიტედის" რამდენიმე ჭაბუკს დრიბლინგის საუკეთესო გაკვეთილი მისცა.

ამ ორი თვის წინ ბესტმა გუნდი მიატოვა და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ფეხბურთს აღარ ითამაშებს. ახლა კი, როცა მანჩესტერელ ფეხბურთელებს ჯერ წვრთნა არ დაუწყიათ, ბესტი სამი დღით ადრე გამოცხადდა ბაზაზე და რამდენიმე საათს ვარჯიშის შემდეგ განცვიფრებულ დამსწრეებს განუცხადა: „ნეტავი სეზონი მალე დაიწყოს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ყოველდღე ვივარჯიშებ".

ბოლო სიტყვა ახლა მწვრთნელ ფ. ო'ფარელს ეკუთვნის. მან უნდა გადაწყვიტოს, როგორ დაისაჯოს ბესტი გუნდის თვითნებურად მიტოვებისთვის.

(საქ. ინფ.).



## მოტოციკლებით... მანქანების თავზე

ჩამწკრივებული მანქანების თავზე მოტოციკლით ხტომაში ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ივილ ნიველს, რომელიც 19 მანქანას გადაახტა. ამას წინათ ეს რეკორდი ერთბაშად ორმა მოტოციკლისტმა გააუმჯობესა — ჯერი დიგისმა და რიჩს ბლიკოილმა. კალიფორნიაში გამართულ შეჯიბრებაში მათ მიღწევა 21 მანქანამდე გაზარდეს. ხტებოდნენ ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით.

**თბილისის სპორტული ზაფხული**

**ფეხბურთი.** „ისნის" სტადიონი. 29 ივლისი. საქართველოს პირველობა. „ისანი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. — უე 02614